N 459 29/11/2019

ოქმი N16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 29 ნოემბერი
ქ. ოზურგეთი
14.00 სათი -15.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ:მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ლ.მგელაძე, გ.თოიძე, დ.მჟავანაძე, ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ხ.ცერცვაძე, ნ.ორაგველიძე, შ.თავდიშვილი, ვ.ბერიძე, ბ.ქათამაძე, ლ.ნინიძე, პ.კიღურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტუღუში, ვლ.ღლონტი, თ.ბურჭულაძე, ტ.მგელაძე, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- ალ.სურგულაძე, მოადგილე-ი.სირაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა საკრებულოს წევრებს, განაცხადა, რომ სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის კ.შარაშენიძის ინიციატივით, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 31-ხმით.

დღის წესრიგი

21.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით, 3-წინააღმდეგი

თამამომხსენებელმა ლ.თავაძემ გააკეთა ახსნა-განმარტება რეორგანიზაციით მისაღწევი მართვის ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიურობის, მერიის უფლება-მოვალეობათა უკეთ შესრულების თაობაზე. შემდეგ დასმული იქნა შეკითხვები. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა-რეორგანიზაციით ყველა სამსახური ძლიერდება, სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უქმდება-რატომ? რაც შეეხება ზედამხედველობის სამსახურს, მისი შექმნა ამოცანებიდან გამომდინარე დაგვიანებულიც არის.

მერის მოადგილემ-ი.სირაძემ განმარტა, რომ ერთი წლის მანძილზე სამსახურის უფროსის გარეშე მუშაობდა სამსახური და არავითარი დაბრკოლება არ შექმნილა, აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ შეიძლებოდა ამ სამსახურის გაუქმება და განყოფილების სახით სხვა სამსახურში დაფუძნება. დ.მჟავანაძემ განაცხადა, რომ უაღრესად დატვირთულ სამუშაო რეჟიმში უკეთესი იქნებოდა სამსახურის ცალკე არსებობა.

ბიუროს წევრმა ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ მერიის რეორგანიზაციის წარმოდგენილი ახსნა-განმარტება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მიმდინარე წლის ანალიზით წარმოდგენილიყო 2020 წლის ეფექტიანობის პროგნოზი. საკრებულოს წევრმა ბ.ქათამაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია მხარს არ დაუჭერს სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის გაუქმებას და სხვა სამსახურთან შერწყმას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა როგორც საერთოდ რეორგანიზაციაზე, ასევე საშტატო სტრუქტურასა და სამსახურების დებულებებზე, რეორგანიზაცია არსებული კანონმდებლობით მერის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, შედეგებს მომავალი გვიჩვენებს, დებულებების მიმართ არის შენიშვნები, რომლებიც აისახა დასკვნებში, მერია დაეთანხმა მათ და გაითვალისწინა. კომისია მხარს უჭერს მათ დამტკიცებას.

ბიუროს წევრმა ლ.ბიგვავამ დამატებით განაცხადა, რომ მართალია მხარს უჭერს მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს-ისინი საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ხარვეზებით, რაც არ უნდა განმეორდეს მომავალში.

22.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

23.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

24.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი:გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

25.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

26.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი:გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

27.7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი:გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

28.8. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი:გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

29.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე
თანამომხსენებელი:ლაშა თავაძე
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 28-ხმით,

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა,რომ დასკვნაში ასახული შენიშვნები გათვალისწინებულია და კომისია მხარს უჭერს დადგენილების დამტკიცებას.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გიორგი ღურჯუმელიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო